

# ოქმი # 1

## თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2022 წლის 13 იანვრის სხდომისა

(სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში, zoom-ის გამოყენებით)

### სხდომას ესწრებოდნენ:

**სამეცნიერო საბჭოს წევრები:** თ. ქაღიშივილი (საბჭოს თავ-რე), გ. ბერიკელაშვილი, თ. ბუჩუკური, ა. ელაშვილი, მ. ელიაშვილი, ლ. ევრემიძე, ხ. ინასარიძე, დ. კაპანაძე, ა. კვინიხიძე, ი. კილურაძე, ვ. კოკილაშვილი, გ. ლავრელაშვილი, მ. მანია, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 22 წევრი).

### დღის წესრიგი:

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მიერ 2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის განხილვა-შეფასება;
2. ინსტიტუტის დირექტორის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა-შეფასება.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ქაღიშივილის გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს წარუდგინა ინსტიტუტის მიერ 2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში (ანგარიში განთავსებულია ინსტიტუტის ვებ-გვერდზე).

**სამეცნიერო საბჭომ** განიხილა ინსტიტუტის 2021 წლის სამეცნიერო ანგარიში.

**და ა დ გ ი ნ ე ს :** დადებითად შეფასდეს ინსტიტუტის მიერ 2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში და წარუდგინოს იგი თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს შემდგომი რეაგირების მიზნით.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა მის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში (აღნიშნული ანგარიში ოქმს თან ერთვის).

**და ა დ გ ი ნ ე ს :** დადებითად შეფასდეს ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

საბჭოს თავმჯდომარე

*თ. ქაღიშივილი*  
თ. ქაღიშივილი

სწავლულო



ო. ჯოხაძე

*ო. ჯოხაძე*

**თსუ ანდრია რაჭმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის  
ნინო ფარცვანიას მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოს  
ანგარიში**

- ა) კონტროლს ვუწევდი ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებას.
- ბ) შევიმუშავე და თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს განსახილველად და დასამტკიცებლად წარვუდგენე ინსტიტუტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი (ივლისი, 2021 წელი).
- გ) განვახორციელე სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების ადმინისტრაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა, მხარს ვუჭერდი საკონკურსო პროცესებს (ივნისი-ივლისი, 2021 წ.).
- დ) ვესწრებოდი და აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებში.
- ე) მხარს ვუჭერდი სამი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის - „ა. რაჭმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები“ (გამოდის 1937 წლიდან, განთავსებულია SCOPUS-ის ბაზაში), „საქართველოს მათემატიკური ჟურნალი“ (გამოდის 1994 წლიდან, გამოსცემს DE GRUYTER, 2008 წლიდან აქვს იმფაქტ-ფაქტორი) და „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ (გამოდის 1994 წლიდან, განთავსებულია SCOPUS-ის ბაზაში) - გამოსაცემად მომზადების პროცესს და დაბეჭდვას.
- ვ) ვხელმძღვანელობდი ინსტიტუტის ორი საერთაშორისო ჟურნალის („ა. რაჭმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები“ – 174-ე ტომის # 3, 175-ე ტომის # 1,2,3, და „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ –81-ე, 82-ე, 83-ე, 84-ე ტომები) უცხოეთის 50-მდე სამეცნიერო დაწესებულებასთან გაგზავნის პროცესს.
- ზ) ინსტიტუტში zoom-ის პლატფორმის გამოყენებით ჩავატარეთ (ვიყავი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე) ტრადიციული საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში - QUALITDE-2021, რომელიც მიემდგნა აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის დაბადებიდან 130 წლისთავს (18-20 დეკემბერი, 2021 წელი, <http://www.rmi.ge/eng/QUALITDE-2021/workshop-2021.htm>). აღნიშნულ ვორკშოპში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის 50-ზე მეტმა წარმომადგენელმა. მოხსენებების გაფართოებული თეზისები გამოვაქვეყნეთ ელექტრონულად (E ISSN 1512-3391).
- თ) ხელს ვუწყობდი საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებას. თუმცა მსოფლიოში შექმნილი პანდემიური მდგომარეობის გამო 2021 წელს შედგა ინსტიტუტის თანამშრომელთა მხოლოდ 5 სამეცნიერო ვიზიტი საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში, რომლებიც ფინანსურად მხარდაჭერილი იყო ინსტიტუტის ბიუჯეტიდან.
- ი) უზრუნველვეყავი საორგანიზაციო ღონისძიებების გატარება ინსტიტუტის 2021 წლის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად.
- კ) ვასრულებდი და/ან ვხელმძღვანელობდი თსუ-ს შესაბამისი მართვის ორგანოებიდან მიღებულ სხვადასხვა დავალებებს.
- ლ) ვმონაწილეობდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა შეხვედრებში.

ნინო ფარცვანია  
2022 წლის 13 იანვარი